ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 98

“ 19 ” დეკემბერი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ლევან მაჭავარიანის ქუჩა №7ბ-ში არსებული №154 ბინის (საკადასტრო კოდი: №01.19.20.020.083.01.01.154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის “დ.ა“ ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ლევან მაჭავარიანის ქუჩა №7ბ-ში არსებული №154 ბინის (საკადასტრო კოდი: №01.19.20.020.083.01.01.154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 3 დეკემბრის №25.2018.2269 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ლევან მაჭავარიანის ქუჩა №7ბ-ში არსებული 79.80 კვ.მ ფართობის №154 ბინის (საკადასტრო კოდი: №01.19.20.020.083.01.01.154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით ლაშა მაისურაძისთვის (პ/ნ. 01019033785) საკუთრებაში გადაცემაზე, *სიმბოლურ ფასად* - 1 (ერთი) ლარად, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე